

სათაური: რისი გაკეთება შეგვიძლია: ინტერვენციის სტრატეგიები

მოკლე აღწერა/მიმოხილვა

მოცემული აქტიობა შედგება სხვადასხვა აქტიობისაგან, რომელიც გამიზნულია დაეხმაროს მოსწავლეს მოიფიქროს თუ როგორ მოახდინოს ინტერვენცია/ჩარევა, როდესაც ხდება ქალის/გოგონას მიმართ განხორციელებული ძალადობის მოწმე, ასევე მოახდინოს მათი მგრძობილობის ამაღლება მასკულიზაციის დამკვიდრებული შეხედულებისადმი დაპირისპირებით.

თემა: გათვითცნობიერება ძალადობის მოწმე ახალგაზრდების პასუხისმგებლობის საკითხში

დრო: 45 წთ.

ჯგუფის ზომა: 12 -25 მონაწილე

მიზნები

- გათვითცნობიერება საკითხში: მოსწავლეების, როგორც მოწმეების ვალდებულება
- კონკრეტული ტექნიკების განსაზღვრა თანატოლთა იმ განწყობებთან და ქცევებთან დაპირისპირებით (challenging), რომელიც მხარს უჭერს ქალთა მიმართ ძალადობას.
- იმის განსაზღვრა, თუ რა შეუძლია გააკეთოს თითოეულმა ადამიანმა ახალგაზრდულ ურთერთობებში ძალადობის შესაჩერებლად.

საჭირო მასალები:

- ფლიფჩარტის ფურცელი
- სკოჩი
- მარკერები და კალმისტრები
- სამუშაო ფურცლები
- დასარიგებელი მასალა „როგორ დავეხმარო მეგობარს“

ნაბიჯ-ნაბიჯ

ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმ შიშის დასაძლევად, რომელიც გაჩუმებას გვაიძულებს, არის ინტერვენციის სტრატეგიების ფლობა, ძალადობის სიტუაციის აღმოცენებისას. ასეთ ვითარებაში აღარ იქნება საჭირო ბევრი ფიქრი იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, გაკეთდეს თუ არა. როდის გაკეთდეს და ა.შ. ეხლა ჩვენ გავაკეთებთ სავარჯიშოს, რომელიც დაგეხმარებათ დაიწყოთ ზოგიერთი ეფექტური ინტერვენციული სტრატეგიის გამოყენება.

გთხოვთ, დაიყოთ 6 მცირე ჯგუფად (სქესის მიხედვით შერეულ ჯგუფებად).

თუ თქვენ შეარჩევთ 6 სცენარზე ნაკლებს, დაყავით მოსწავლეთა ჯგუფი იმდენი რაოდენობის მცირე ჯგუფებად, რამდენ სცენარსაც გამოიყენებთ.

მე თითოეულ ჯგუფს მივცემ ერთ სცენარს, სადაც მოცემულია ჩარევის თხოვნა. ეცადეთ წარმოიდგინოთ საკუთარი თავი მსგავს სიტუაციაში, იმსჯელეთ მასზე ჯგუფებში და დაწერეთ რას გააკეთებდით თქვენ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ იცნობთ სცენარში წარმოდგენილ ადამიანებს, თუმცა არცერთი მათგანი თქვენი ახლო მეგობარი არ არის - თქვენ უბრალოდ მეგობრების იმავე ჯგუფში ხართ. „10 წუთის განმავლობაში უპასუხეთ კითხვებს და შემდეგ განვაახლებთ მსჯელობას იმ სტრატეგიების შესახებ, რომელიც თქვენ მოიფიქრეთ“.

სანამ ჯგუფები მსჯელობენ სცენარზე, თქვენ შეგიძლიათ გაიაროთ ოთახში, დააკვირდეთ და დაეხმაროთ მათ, საჭიროების მიხედვით. როდესაც დრო ამოიწურება, ყველანი დააბრუნეთ დიდ ჯგუფში და კითხეთ მოსწავლეებს ყოველი ჯგუფიდან (ან ერთ ადამიანს ყოველი ჯგუფიდან) წარმოადგინონ ჯგუფში მსჯელობის შედეგი. ამ აქტიობის განხორციელებაში მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნას ჩამონათვალი კონკრეტული ინტერვენციებისა, რომლის გამოყენება ყველას შეეძლება, არა მხოლოდ სცენარში აღწერილი ინციდენტის მსგავს სიტუაციაში, არამედ ასევე სხვადასხვა ვითარებებში.

თითოეული ჯგუფის მიერ მოფიქრებულ სტრატეგიებზე მსჯელობისას, ჩამოწერეთ ისინი ფლიფჩარტზე. სავარაუდოდ მონაწილეები დაასახელებენ ბევრ ისეთ სტრატეგიას, რომელიც მოცემულია „სტრატეგიების სიაში“ და რომელიც მოცემულია „მოსალოდნელ შედეგებ“-ში.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ „სტრატეგიების სია“ როგორც სახელმძღვანელო, რომ მოახდინოთ მოსწავლეების შემოთავაზებების კატეგორიზაცია და დაუმატოთ სიას ნებისმიერი ახალი, რომელიც შესაძლოა შემოგთავაზოთ მოსწავლეებმა.

დასასრულს შეგიძლიათ შეახსენოთ მოსწავლეებს, იმსჯელონ იმ სტრატეგიაზე, რომელიც მათ მიერ არ იყო ნახსენები, აღწერონ ის და იმსჯელონ იმ მიზეზების შესახებ, რატომ არ ჩართეს ეს სტრატეგია თავიანთ ჩამონათვალში. თუ მისაღები აღმოჩნდა, ჩართეთ ის ჩამონათვალში.

ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ

- ძალადობაზე ძალადობით რეაგირება არ არის სწორი; იმსჯელეთ რეაგირების რომელიმე ძალადობრივ გამოხატულებაზე.
- მართლაც რთული სიტუაციაა - დაუპირისპირდე ახალგაზრდას, რომელიც ძალადობს ქალზე ან გოგონაზე.
- შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ იგრძნობდით თავს თქვენ რომ მსხვერპლი ყოფილიყავით ამ სცენარებიდან და არავინ, არავითარ ზომებს არ ღებულობდეს ამ დროს. გააგრძელეთ მსჯელობა შემდეგზე:
- თქვენს რომანტიკულ ურთიერთობაში ძალადობას რომ ქონდეს ადგილი სად წახვიდოდით ან/და ვის მიმართავდით დახმარებისათვის?
- მეგობარი რომ იყოს რომანტიკულ ურთიერთობაში, რომელშიდაც ძალადობას აქვს ადგილი, რას გააკეთებდით? რას ეტყოდით მეგობარს?
- თქვენი მეგობარი რომ ძალადობდეს თავის პარტნიორზე, თქვენ რას მოიმოქმედებდით? რას ეტყოდით მას?
- ოდესმე ყოფილხართ თუ არა ძალადობის მოწმე? გაგიკეთებიათ ან გითქვამთ რამე? ვინმემ რამე გააკეთა ან თქვა? შეგიძლიათ თქვათ რა იყო ეს?

- აქტიობის დასასრულს კითხეთ მოსწავლეებს: როგორ შეგვიძლია ამ სიტუაციის შეცვლა?

აქტიობა დაასრულეთ მსგავსი დასკვნით:

„ თქვენ ყველამ შექმენით ძალადობასთან დაპირისპირების სტრატეგიების ჩამონათვალი - მხარდამჭერი საუბარი/ენა, განწყობები და ქმედებები. იმედია, ამჯერად თქვენ თავს უფრო მომზადებულად გრძნობთ რომ თქვათ თქვენი სათქმელი, როდესაც სიტუაცია ამას მოითხოვს. ერთი რჩევა, სანამ დავასრულებთ: ნუ ელით სასწაულებს საკუთარი თავისაგან ან სასწაულებრივ შედეგებს თქვენი ჩარევისაგან. არ არსებობს სრულყოფილი ინტერვენცია და არ არსებობს მყისიერი ცვლილება. რამდენადაც გვაწუხებს ეს პრობლემა, იმდენად იქნება ყოველი ინტერვენცია წარმატებული რადგან ყოველთვის, როდესაც ჩვენ ხმას ამოვიღებთ, ამით ძალადობის აღმოფხვრის გზით სამყაროს უფრო მეტად უსაფრთხოს გავხდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩარევა არ არის ადვილი საქმე, ეს ისაა, რაც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ“.

არ არის ადვილი დავუპირისპირდეთ იმას, ვინც იძალადა ვინმეს მიმართ ან დააზიანა ვინმე, რადგან ეს სახიფათოა, უხერხულობას (თუ დაგცინეს ან სერიოზულად არ აღგიქვს) ან შიშს იწვევს - რომ დაკარგავთ ადამიანის მეგობრულ დამოკიდებულებას. როდესაც მოძალადე პიროვნებას ვუპირისპირდებით, პირველ რიგში ყოველთვის საჭიროა უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინება; მნიშვნელოვანია თავი ავარიდოთ ძალადობას ამ პიროვნებასთან. ასევე მნიშვნელოვანია მსხვერპლს არ შევუქმნათ იმის შთაბეჭდილება, რომ ის დაუცველია და რომ საჭიროებს „ დამცველს“, მაშინ როდესაც, მეორეს მხრივ, გაჩუმება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოძალადის ქცევა შეწყნარებული და მიღებულიც კია. თუ კი ჩარევას გადაწყვეტთ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ადამიანის უსაფრთხოების საკითხი. თუ კი ვითარება არ არის უსაფრთხო ან კიდევ არსებობს ალბათობა მოძალადის მხრიდან ძალადობის პროვოცირებისა, შესაძლოა უკეთესი იყოს კომენტარი ან მოქმედება დარჩეს რეაგირების გარეშე და მოგვიანებით მოიძებნოს გზა მასთან გამკლავებისა. ამავე დროს, თუ კი შეგვაწუხებს ის, თუ როგორ რეაგირებს მეორე ადამიანი, ეს ჩვენი მხრიდან უმოქმედობის გამართლება ვერ იქნება. ვიცით და ვაცნობიერებთ რა ჩვენს შიშებს უნდა შევძლოთ რომ არ ავყვეთ მათ. პირიქით, ეს საშუალებას იძლევა იქონიოთ კონტროლი მათზე, ისე, რომ მათ ვერ მოახდინონ თქვენი პარალიზება, მაშინ როდესაც საჭიროა ხმის ამოღება“.

განხილვა და შეფასება

პირობას ვდებთ, რომ არ მოხდება ძალადობის შეწყნარება, მოძალადის გამართლება, არ ვიფიქრებთ, რომ ყოველი ქალი/გოგონა „თავად იწვევს ამას“. პირობას ვდებთ, რომ არ გავჩუმდებით. პირობას ვდებთ, რომ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებს მოვთხოვთ იმოქმედონ ძალადობის შესაჩერებლად, დავუპირისპირდეთ სექსისტურ ენა და ხუმრობებს, რომლებიც ამცირებენ ქალებს/გოგონებს, არა მხოლოდ რეალურ ცხოვრებაში, არამედ ინტერნეტ სივრცეშიდაც. სექსისტური ხუმრობები და ენა ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომელშიდაც ძალადობა და შეურაცხყოფა მისაღები ხდება. სიტყვები, რომლებიც ამცირებენ ქალებსა და გოგონებს იმ საზოგადოებას ასახავს, რომელმაც ისტორიულად ქალი მეორე ადგილზე

განათავსა. ამის გამეორებით ისინი კიდევ ერთხელ ათავსებენ ქალებსა და გოგონებს „თავიანთ ადგილას“, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ასეთი განზრახვა სულაც არ ქონდეთ.

ერთ-ერთი ყველაზე რთული რამ ბიჭებისათვის არის იმის სწავლა, თუ როგორ დაუპირისპირდნენ სხვა ბიჭებს, სექსისტურ ენას, ბიჭებს, რომლებიც არასერიოზულად საუბრობენ ქალთა მიმართ ძალადობაზე და ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ ძალადობას.

სტრატეგიების სია

სტრატეგია: „ითხოვე განმარტება . . . „

ადამიანებს, რომლებიც ძალადობრივ კულტურასთან დაკავშირებულ თავიანთ განწყობებს და დამოკიდებულებებს ავლენენ, აქვთ მოლოდინი, რომ სხვებიც მათთან ერთად იქნებიან, მათთან ერთად გაიცინებენ, დაეთანხმებიან, შეუერთდებიან მათ. ისინი არ ელიან ამ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვებს, მაგ.: „მე კარგად ვერ გავიგე რას გულისხმობთ, ხომ ვერ ამიხსნით?“ ან განმარტების თხოვნის რაიმე სხვა ფორმის გამოყენებით ხდება საუბრის დინამიკისა და მიმდინარეობის შეცვლა. ასევე ადამიანებისთვის რეკომენდებულია იფიქრონ იმაზე, თუ რა უდევს საფუძვლად მათ განცხადებებსა და დამოკიდებულებებს.

სტრატეგია: „ ჩახედე მსხვერპლს თვალებში“

ეს სტრატეგია ხელს უწყობს შეურაცხყოფილი ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულების გამოვლენას. როდესაც ადამიანს შევახსენებთ, რომ მის დას, დედას ან მეგობარ გოგონას შეიძლება ვინმე ამგვარად ესაუბროს ან მოექცეს - ეს ხშირად შევახსენებს მას ქალისადმი ადამიანური დამოკიდებულების გამოვლენის საჭიროებას.

სტრატეგია: „ნუ დაადანაშაულებ . . . ნათლად გამოხატე შენი პოზიცია“

კითხეთ მონაწილეებს როგორ გრძნობენ თავს, როდესაც ვინმე თითოს იშვერს მათკენ, როდესაც ვინმე დამადანაშაულებელი ხმით ამბობს მათ მიმართ: „შენ . . .“. ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ „მე დებულებები“ ადამიანებისათვის უფრო ადვილი მოსასმენია, რადგან ის ეხება მოსაუბრეს, რომლის მიმართაც ადამიანები ნაკლებად არიან თავდაცვის პოზიციაში. იმის მაგივრად, რომ თქვან „შენ ხარ სექსისტი და ეს არის ყველაზე სულელური რამ, რაც გამიგონია ოდესმე“, რაც აყენებს მეორე ადამიანს თავდაცვით პოზიციაში, თქვენ შეგიძლიათ თქვან: „მე არ ვეთანხმები თქვენს ნათქვამს; დარწმუნებული ვარ არავინ იმსახურებს ამგვარ მოპყრობას“.

სტრატეგია: „გამოიყენე შენი იუმორის გრძნობა“

ეს სტრატეგია არის ალბათ ყველაზე ეშმაკური სტრატეგიებს შორის, რადგან იუმორს ადვილად შეუძლია დამაბულობის ესკალაცია, თუკი ადამიანები გრძნობენ რომ მათ დასცინიან. თუმცა, თუკი იუმორს გამოიყენებთ ეფექტურად, მას შეუძლია ინტერვენციის თანმხლები დამაბულობის შემცირებაც. იყავით ყურადღებით, რომ არ აღმოჩნდეთ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში, რადგან ამით გააუფასურებთ იმას, რის გაკეთებასაც ცდილობთ.

სტრატეგია: „... უსიტყვოდ“

ამ სტრატეგიას აქვს მნიშვნელოვანი წონა ახალგაზრდებთან მუშაობისას, თუკი თქვენ დააკავშირებთ მას მშობლებთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ თავინთი უკმაყოფილება შვილების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ მზერით, ისე, რომ სიტყვები არ გამოიყენონ.

სტრატეგია: „იპოვნე შენნაირები“

კვლევები აჩვენებენ, რომ ბიჭების/მამაკაცების 90%-ს არ მოსწონს (გრძნობენ დისკომფორტს) თავინათი თანატოლების საუბარი ან ქცევა გოგონების/ქალების მიმართ, მაგრამ თითქმის ყველა ამჯობინებს გაჩუმებას, რადგან მიაჩნიათ რომ მხოლოდ ისინი გრძნობენ დისკომფორტს ამით. მოცემული სტრატეგია შექმნილია იმისათვის, რომ ვაჩვენოთ სხვებს რომ მხოლოდ ისინი არ გრძნობენ დისკომფორტს. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ჯგუფს და იკითხოთ: „მხოლოდ მე ვგრძნობ დისკომფორტს ამით?“ ეს სტრატეგია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას იმ ადამიანის მიმართ, ვინც ავლენს ძალადობის გამამართლებელ განწყობებს. მეგობრებს და/ამ ოჯახს, როგორც ჯგუფს, შეუძლია ასევე განახორციელოს ინტერვენცია.

სტრატეგია: „ითხოვე ან შესთავაზე დახმარება“

თუ კი შენ გახდი ძალადობრივი ინციდენტის მოწმე, შესაძლოა საჭირო იყოს პოლიციის გამოძახება და დახმარებისათვის გარშემომყოფებისადმი მიმართვა. ნუ ჩაერევი თუ მართო ხარ და თვლი რომ ეს სახიფათოა.

მეორე, დახმარების შეთავაზების სასარგებლო გზა იქნება ის, რომ მოძალადისთვის ცნობილი იყოს შემთხვევის ადგილზე შენი ყოფნის შესახებ, ამით მას ეცოდინება, რომ არსებობს მისი ქმედების თვითმხილველი.

შენ ასევე შეგიძლია შესთავაზო დახმარება მსხვერპლს მასთან საუბრით. ეს დაეხმარება მას თავი იგრძნოს უსაფრთხოდ, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ საუბარი ჯობს ინციდენტის დასრულების შემდეგ შედგეს.

სტრატეგია: გამოიყენე „ძალადობის შეტყობინების“ ღილაკი

როდესაც შეამჩნევთ ძალადობრივ ონლაინ ქცევას (სიძულვილის ენა, შეურაცხმყოფელი კომენტარები, ფილმები ანდ ფოტოები, რომელიც არასწორად გამოიყენება ან არის სექსისტური), ნუ დაეჭვდებით, შეატყობინეთ ძალადობის შესახებ და მოითხოვეთ, რომ შესაბამისი პოსტები ამოღებულ იქნას. თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი პოზიციის დაფიქსირება კომენტარის გამოქვეყნებით და იმაზე მითითებით, რომ ამგავრი ქცევა არის ძალადობა.

რჩევები ფასილიტატორს

შემოთავაზებული სცენარები და სტრატეგიები შესაძლოა საჭიროებდეს ადაპტაციას, იმისათვის რომ შეესატყვისებოდეს იმ კულტურას, რომელშიდაც უნდა მოხდეს მისი გამოყენება. თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ სცენარები იმ შემთხვევისათვის, როცა ჯგუფის შემადგენლობაში არიან ბევრი მოსწავლეები.

ეს აქტიობა - ინტერვენციის სტრატეგიები, დაეხმარება ახალგაზრდებს იპოვნონ ძალადობასთან დაკავშირებით საუბრის, ხმის ამოღების სტრატეგიულად სწორი გზები. როდესაც ვეხებით ასეთ სიტუაციებში ხმის ამოღების საკითხს, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანებმა იცოდნენ, რომ თქვენ სერიოზულად უდგებით უსაფრთხოების თემას. ძალიან დიდ ხანს ნუ შეყოვნდებით შიშებსა და ინტერვენციასთან დაკავშირებულ რისკებზე. ასე შეიძლება შეიქმნას პოტენციური მოკავშირეების შეშინების და დადუმების რისკი. ყოველთვის დაუბრუნდით პოზიტიურ გზავნილებს (მესიჯებს), რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შიშების დაძლევა და გზის პოვნა ზომების

მისაღებად და რომ თქვენ არვითარ შემთხვევაში არ უბიძგებთ მონაწილეებს განახრციელონ რისკის შემცველი ქცევები.

რადგან მოცემული აქტიობა სთხოვს მონაწილეებს წარმოიდგინონ ისეთ სიტუაციებში ჩარევა, რომლებშიდაც ისინი ჩვეულებრივ ჩუმად არიან ხოლმე, შეიძლება ადგილი ქონდეს გარკვეულ წინააღმდეგობას სტრატეგიების შემუშავების მიმართ.

ზოგჯერ მოსწავლეები სტრატეგიების შემუშავების მიმართ წინააღმდეგობას ავლენენ იმის თქმით, რომ მსგავს სიტუაციაში მოხვედრისას ისინი არ ჩაერეოდნენ. თქვენ შესთავაზეთ, რომ მათ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან ჰიპოთეტურ სიტუაციასთან დაკავშირებით - რისი თქმა შეუძლიათ მათ ისეთის, რასაც ცვლილების გამოწვევა შეეძლება?

სამუშაო ფურცელი

სცენარი 1

თქვენ შეხვდით თქვენს მეგობარს რომ წახვიდეთ კინოთეატრში და ისეთი შთაბეჭდილება გაქვთ, რომ ცოტა ხნის წინ ის ტიროდა. ზოგჯერ, წარსულში მას უთქვამს თქვენთვის, რომ მისი მეგობარი ბიჭი უყვირის და აგინებს, შეურაცხყოფას აყენებს და ამცირებს მას და ითხოვს იცოდეს სად და ვისთან ერთად არის; მას მოუწია თავისი ინტერნეტ პაროლების მიცემა მისთვის. ასე, რომ მას შეუძლია მისი მიმოწერების შემოწმება. მის მკლავზე ჩალურჯებებიც შენიშნეთ.

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდენ სხვები თქვენს ჩარევაზე?

მისი მეგობარი ბიჭი?

თქვენი მეგობარი?

სცენარი 2

გავრცელდა ჭორები, რომ თქვენმა ნაცნობმა ბიჭმა გააუპატიურა გოგონა. ეს ამბავი განიხილეთ თქვენს ორ საუკეთესო მეგობართან ერთად და ერთ-ერთმა დაიცვა დამნაშავე იმით, რომ გოგონაზე თქვა: „მას ეს უნდოდა . . . მას ყველასთან ძინავს შეხედე როგორ აცვია. . . . და გინახავთ მისი ფეისბუქი და სურათები, რომელიც თავის გვერდზე აქვს იმ ბიჭებთან ერთად გადაღებული, ვისაც კი ხვდებოდა? სავსებით ნათელია, რომ მას უნდოდა ის, რაც მოხდა . . . ვინმემ უნდა გამოაქვეყნოს მესიჯი ჩვენს ფეისბუქ ჯგუფში მასზე, რომ ყველამ იცოდეს - მას ეს უნდოდა!“

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არ ჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდენ სხვები თქვენს ჩარევაზე?:

თქვენი მეგობარი ვინც იცავს ბიჭს?

მსხვერპლი?

სცენარი 3

თქვენ წვეულებაზე ხართ. წასვლისას დაინახეთ ბიჭი, რომელიც ცდილობს ნასვამი გოგონა თან წაიყვანოს. გოგონა ოდნავ ნასვამი კი არ არის, არამედ მთვრალია, ისე, რომ ძლივს დადის. თქვენ ფიქრობთ, რომ გოგონა არ უნდა გაყვეს ამ ბიჭს.

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არ ჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდენ სხვები თქვენს ჩარევაზე?:

ბიჭი?

გოგონა?

სცენარი 4

თქვენ მეგობრებთან ერთად ხართ; ერთ-ერთი ემზადება წასასვლელად და ამბობს, რომ ვეღარ დარჩება, რადგან მეგობარი გოგონა ელოდება მას. დანარჩენებმა დაუწყეს მას გალიზიანება: როგორ დაეშვი? ქალმა თითზე დაგიხვია“, „როგორ აბედიანებ მას, რომ გატაროს თავის ჭკუაზე?“ . . . და სხვა კომენტარები, კიდევ უფრო უარესი . . . ერთ-ერთი მათგანი კიდევ უფრო შორს მიდის და ამბობს: „ჩემმა მეგობარმა გოგონამ ეს რომ გამიბედოს, მე მას სიკვდილამდე ვცემდი“.

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არ ჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდენ სხვები თქვენს ჩარევაზე?:

თქვენი მეგობარი, რომელიც იღებდა კომენტარებს?

თქვენი დანარჩენი მეგობრები, რომლებიც კომენტარებს აკეთებდნენ?

სცენარი 5

შაბათია და თქვენ მეგობრებთან ერთად ხართ გარეთ. თქვენმა ბიჭმა მეგობარმა დაინახა ლამაზი გოგონა, კომენტარები გააკეთა მის სხეულთან დაკავშირებით და დაიწყო მისი შევიწროვება.

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არ ჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? თქვენ როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდნენ სხვები თქვენს ჩარევაზე?

თქვენი ბიჭი მეგობარი?

გოგონა?

თქვენი დანარჩენი მეგობრები?

სცენარი 6

კაფეში შესვლისას გაიგონეთ როგორ წყვილი კამათობს და უცებ მამაკაცი ქალს კედელზე ახეთქებს. ამ ინციდენტის არცერთი მოწმე არ აპირებს არაფრის გაკეთებას ამასთან დაკავშირებით. ცოტა ხანში სიტუაცია კიდევ უფრო მწვავედება . . . სულ უფრო და უფრო ძლიერდება მამაკაცის ძალადობა ქალის მიმართ. . .

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში ჩარევისათვის?

რა მიზეზები არსებობს ამ სიტუაციაში არ ჩარევისათვის?

როგორ ფიქრობთ, თქვენ რას გააკეთებდით? რას იტყოდით? თქვენ როგორ ჩაერეოდით?

ჯგუფის არჩევანი:

რას ფიქრობთ, როგორ რეაგირებას მოახდენდნენ სხვები თქვენს ჩარევაზე?:

მოძალადე?

მსხვერპლი?

დასარიგებელი მასალა: როგორ დაეხმაროთ მეგობარს

თუ შენ იცნობ იმ ადამიანს, ვინც ძალადობს თავის მეგობარ გოგონაზე ან მეგობარ ბიჭზე, აი, როგორ შეგიძლია დაეხმარო მას:

- ☑ მოუსმინე და მოიკრიბე მოთმინება. ძნელია ადამიანმა აღიაროს, რომ მას აქვს პრობლემა.
- ☑ უთხარი შენს მეგობარს, რომ მისი საქციელი სულაც არ არის „მაგარი“.
- ☑ უთხარი შენს მეგობარს, რომ ძალადობრივი ქცევა არასწორი ქცევაა და რომ შეურაცხყოფა დანაშაულია!
- ☑ ხელი შეუწყვე შენს მეგობარს, რომ მიმართოს დახმარებას. ის დამოუკიდებლად პრობლემას ვერ გადაჭრის. შესთავზე დახმარება ისეთი კონსულტანტის პოვნაში, რომელსაც ენდობა და შესთავაზე კონსულტანტთან შეხვედრაზე წაყოლა.
- ☑ დაეხმარე შენს მეგობარს რომ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე იმით, რომ დაარქვას ძალადობას ძალადობა, როცა ამას ხედავს ან ესმის. უთხარი შენს მეგობარს, რომ სასმელის, ნარკოტიკების ან თავისი პარტნიორის დადანაშაულება მის საკუთარ ძალადობრივ ქცევებში, არის მხოლოდ ძალადობის გამართლება.
- ☑ თუ შენი მეგობარი გაიზარდა ძალადობრივ გარემოში, ეცადე ათქმევინო მას თუ რა გავლენა მოახდინა ამ ფაქტმა მის პირად ურთიერთობებზე.
- ☑ უთხარი შენს მეგობარს, რომ ძალადობა არის დასწავლილი ქცევა და რომ მას შუძლია ისწავლოს მისი შეცვლა.
- ☑ იყავი მხარადმჭერი შენი მეგობრის პარტნიორის მიმართ. უთხარი, რომ ის არ იმსახურებს ძალადობრივ მოპყრობას.
- ☑ გააცანი შენს მეგობარს ფაქტები ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ. უთხარი მას, რომ თუკი ის არ მიიღებს დახმარებას, მაშინ დაკარგავს ყველას, ვისთვისაც ის მნიშვნელოვანი ადამიანია.
- ☑ დარეკე ძალადობის ცხელ ხაზზე რომ გაარკვიო, რისი გაკეთება შეგიძლია მეგობრის დასახმარებლად. თუ გსურს, შეგიძლია ეს ანონიმურად გააკეთო.
- ☑ მოიპოვე ნაბეჭდი ინფორმაცია ურთიერთობაში ძალადობის შესახებ და გაუზიარე ის შენს მეგობარს და მის პარტნიორს (გაითვალისწინე შენი მეგობრის პარტნიორის უსაფრთხოების საკითხი).
- ☑ იყავი ჯანსაღი ურთიერთობების როლური მოდელი - შენი პარტნიორისა და მეგობრებისადმი ისეთი მოპყრობით, რომელიც პატივისცემას ეფუძნება.

ვის მიმართოთ დახმარებისა და მხარადჭერისათვის:

მეგობრებს, მშობლებს, ქალთა თავშესაფრებს/გარდამავალ სახლებს, სექსუალური ძალადობის ცენტრებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებს, ქოუჩებს, კონსულტანტებს, სამღვდელეობას, საოჯახო რესურს ცენტრებს, პოლიციას.

თუ შენ იცნობ იმ ადამიანს, ვინც ძალადობს თავის მეგობარ გოგონაზე ან მეგობარ ბიჭზე აი, როგორ შეგიძლია დაეხმარო მას :

- ☑ იყავით მასთან. მოუსმინე, რჩევების მიცემის გარეშე მანამ, სანამ თავად არ გთხოვს ამას; უთხარი შენს მეგობარს რა არჩევანი არსებობს მის წინაშე და აჩვენე, რომ შენ გჯერა მისი.
- ☑ უთხარი შენს მეგობარს, რომ ის არ იმსახურებს ამ ტკივილს და რომ ეს არ არის მისი ბრალი. არავინ იმსახურებს ცუდ მოპყრობას.
- ☑ ნუ მოახდენ ზეწოლას შენს მეგობარზე, რომ მან გადაწყვიტოს ურთიერთობა თავის პარტნიორთან და ნუ დაამცირებ მის გოგონა ან ბიჭ მეგობარს. ამან შეიძლება დაგაშოროს მას.
- ☑ პატივი ეცი შენი მეგობრის გრძნობებს და არასოდეს უთხრა მას, თუ რას უნდა გრძნობდეს. იცოდე, რომ შესაძლებელია გიყვარდეს ის, ვინც ტკივილს გაყენებს.
- ☑ შენ ნუ მიიღებ გადაწყვეტილებას! გაარკვიე რისი გაკეთება სურს შენს მეგობარს თავის ურთიერთობასთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირე მას. შენ შეგიძლია მას დახმარება გაუწიო იმის თქმის გარეშე თუ რა უნდა ან რა არ უნდა გააკეთოს მან.
- ☑ შენი მეგობარი შეიძლება დაიბნეს - შეიძლება შეცვალოს თავისი გადაწყველიბა. არაუშავს, ეს ნორმალურია!
- ☑ ნუ შექმნი დრამას. თუ კი შენი რეაქციები გადაჭარბებული იქნება, ამით შენს მეგობარს უარეს მდგომარეობაში ჩააგდებ, ეს არ დაეხმარება მას.
- ☑ ნუ დაუსვამ არასაჭირო კითხვებს. ეხლა ცნობისმოყვარეობის დრო არ არის.
- ☑ დააკვირდი შენი სხეულის ენას და პატივი ეცი მეგობრის უფლებას - ქონდეს პირადი სივრცე. ყველას არ არა აქვს ჩახუტების სურვილი.
- ☑ მან (გოგონამ, ბიჭმა) შეიძლება თავი „დამნაშავედ“ იგრძნოს რომ გიამბო თავისი პრობლემის შესახებ. შეიძლება დაბნეულობა იგრძნოს . . . ბრაზიც კი. მზად იყავი ბევრი სხვადასხვა გრძნობების ან/და რეაქციებისათვის.
- ☑ ხელი შეუწყვე შენს მეგობარს რომ მიიღოს დახმარება. შესთავზე დახმარება ისეთი კონსულტანტის პოვნაში, რომელსაც ენდობა და შესთავაზე კონსულტანტთან შეხვედრაზე წაყოლა.
- ☑ დარეკე ინტიმური პარტნიორული ძალადობის ან ახალგაზრდულ ურთიერთიერთობაში ძალადობის ცხელ ხაზზე რომ გაარკვიო კიდევ რითი შეგიძლია მეგობრის დახმარება. შენ შეგიძლია ეს გააკეთო ანონიმურად თუ ასე გსურს.
- ☑ ონლაინ ძალადობის შეტყობინებისათვის გამოიყენე ღილაკი „ძალადობის შეტყობინება“-ონლაინ სოციალური ქსელების უმეტესობას აქვთ ასეთი ღილაკი. შეგიძლია მოახდინო ასევე კიბერ-ძალადობის შეტყობინება პოლიციის კიბერ-დანაშაულის განყოფილებისათვის (მიუთითე საკონტაქტო დეტალები).
- ☑ იყავი მხარდამჭერი! დაეხმარე მეგობარს რომ იყოს ინფორმირებული. მოიპოვე ნაბეჭდი ინფორმაცია ურთიერთობაში ძალადობის შესახებ და გაუზიარე ის შენს მეგობარს (იყავი ფრთხილად - მიაწოდე ნაბეჭდი ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ხარ, რომ შენი მეგობარი არ აღმოჩნდება უფრო დიდ საფრთხეში, თუ კი მოძალადე აღმოაჩენს ინფორმაციას); წინააღმდეგ შემთხვევაში გადაეცი ეს ინფორმაცია სიტყვიერად.
- ☑ ნუ დაუპირისპირდები შენი მეგობრის პარტნიორს, მაშინაც კი თუ კი ის თვლის, რომ ეს დაეხმარება მას. ამან რთული სიტუაცია შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს. ნურაფერს გააკეთებ ისეთს, რომელიც შეუქმნის საფრთხეს შენს პირად უსაფრთხოებას.
- ☑ მიეცი საშუალება შენს მეგობარს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და პატივი ეცი მის გადაწყვეტილებას, მაშინაც კი, როდესაც შენ არ ეთანხმები მას.
- ☑ ნუ გააკრიტიკებ შენს მეგობარს იმის გამო, რომ მან დარჩენა არჩია ან რომ ისევ აგრძელებს ურთიერთობას. უბრალოდ შეახსენე, რომ შენ მის გვერდით ხარ.

love & respect
Preventing Teen Dating Violence

